თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შორის

ქ. ბათუმი 17 ივნისი, 2019 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდეგში „უმაღლესი საბჭო"), წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დავით გაბაიძის მიერ (შემდგომში „მხარეები"), თანხმდებიან ურთიერთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი და ამოცანები

1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

2. დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება).

3. მემორანდუმის ამოცანებია:

ა) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მხარეებმა მოაწყონ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე;

ბ) ბსუ-ს სტუდენტთა პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული საქმიანობის განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტინგენტის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს სტუდენტთა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში;

გ) თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზაციისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

3. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა, მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

3. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება თუ მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

5. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან;

2.მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
№ 25 [illegible] ქ/რუსთაველის ქ. ბათუმი, საქართველო	№ 25 [illegible] ქ. [illegible], საქართველო
_____	_____
რექტორი, ასოც. პროფ. მერაბ ხალვაში	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დავით გაბაიძე